



GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY



MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

პრესრელიზი

თბილისის ბიზნეს ფორუმი: ინოვაცია და ციფრული ეკონომიკა

“ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია ხელი შეუწყოს ჩართვას, ეფექტურობას და ინოვაციას,” ამბობს მსოფლიო ბანკის ანგარიში

2016 წლის 8 აპრილს მსოფლიო ბანკმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ და ჟურნალმა Business Georgia-მ საქართველოს პირველ ტექნოლოგიურ პარკში ბიზნეს ფორუმს „ინოვაცია და ციფრული ეკონომიკა“ უმასპინძლეს. ფორუმის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ანგარიშის წარდგენა ჩატარდა- „მსოფლიო განვითარების ანგარიში 2016: ციფრული დივიდენდები“.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, ინოვაციებისა და განვითარების ფონდმა, ახალგაზრდა ინოვატორთა ცენტრმა და ამ სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციებმა. მათ ფორუმზე გამოავლინეს ისეთი საკითხების მხარდაჭერა, როგორცაა ინოვაციების ხელშეწყობა და ბიზნესის განვითარება. ასევე სხვადასხვა პროფილის მქონე კომპანიების წარმომადგენლებმა წარადგინეს მათ მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტები და ინიციატივები. ღონისძიების პანელის წევრებს წარმოადგენდნენ თბილისი ბანკის, ვისოლ ჯგუფის, ჯეოსელის, ვიარექსის, ეისითის, სტარტ-აპ ნესთისა და სხვა კომპანიის წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის იყვნენ მთავრობის წევრები, ბიზნეს კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოება, დონორი ორგანიზაციები, განვითარების ინსტიტუტები და ანალიტიკური ჯგუფები.

ფორუმის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ცენტრალური ფილიალიდან სპეციალურად მოწვეული სტუმარმა, ბ-ნმა უვე დაიქმანმა, მსოფლიო განვითარების ანგარიში (WDR) 2016: ციფრული დივიდენდების თანადირექტორი, აუდიტორიას მსოფლიო ბანკის უახლესი ანგარიშის მთავარი გზავნილები გააცნო.

ანგარიშის თანახმად მსოფლიოს მოსახლეობის 60 % მუდმივად განვითარებადი ციფრული ეკონომიკის ფარგლებს მიღმა იმყოფება. ინტერნეტი, მობილური ტელეფონები და სხვა ციფრული ტექნოლოგიები სწრაფად ვრცელდება განვითარებად სამყაროში, თუმცა სავარაუდო ციფრული დივიდენდები ეკონომიკური ზრდის დაჩქარების, სამუშაო ადგილების მატებისა და სახელმწიფო სერვისების ხარისხის ამაღლების სახით მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოლოდინს.

მსოფლიოს განვითარების ახალი ანგარიშის მიხედვით, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებიდან სარგებელს ძირითადად მატერიალურად უზრუნველყოფილი, კვალიფიციური და გავლენიანი პირები იღებენ, რომელთაც უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ ახალი ტექნოლოგიების უპირატესობების გამოსაყენებლად. გარდა ამისა, 2005 წლის შემდეგ მსოფლიოში ინტერნეტის

მომხმარებელთა რიცხვის სამჯერ და მეტად ზრდის მიუხედავად, ოთხ მილიარდ ადამიანს კვლავაც არ აქვს მასთან წვდომა.

„საქართველო არის ისეთი ქვეყანა რომლისთვისაც WDR 2016 განსაკუთრებით შესაბამისი და გამოსადეგია ხანგრძლივი ეკონომიკური სტრატეგიის შესამუშავებლად,“ განაცხადა უვე დაიქმანმა. „ამ ქვეყანამ გააკეთა რიგი ინვესტიცია და ჩაატარა ის კრიტიკული რეფორმები რომლებმაც ციფრული ეკონომიკის სწრაფი განვითარების მრავალ ხელშემწყობ ფაქტორს ჩაუყარა საფუძველი. ინვესტირება ძირითად ინფრასტრუქტურაში, ბიზნესის კეთების ღირებულების შემცირება, სავაჭრო ბარიერების შემსუბუქება, წამომწყები ბიზნესებისთვის ხელის შეწყობა, კონკურენციის უწყებების გაძლიერება და ციფრული პლათფორმის გასწვრივ კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა გახლავთ სწორედ ის ზომები რომელთა მიღების რჩევასაც იძლევა WDR-ი, იმისათვის რომ ბიზნესი უფრო პროდუქტიული და ინოვაციური გახდეს.“

“ინტერნეტი ეკონომიკური განვითარების ერთერთი მთავარი მამოძრავებელია. ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ ეკონომიკური ზრდა ინოვაციური საქმიანობებისა და კერძო სექტორის მხარდაჭერით. მნიშვნელოვანია ხალხისა და ბიზნესის ჩართულობა გლობალურ ინოვაციებსა და ციფრულ ეკონომიკაში. საზოგადოების ყველა სექტორისათვის სოფლებსა და რეგიონებში ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი ციფრული ტექნოლოგიები. სწორედ მთავრობის ახალი ინიციატივა „ინტერნეტი ყველასათვის“ იძლევა შესაძლებლობას რეგიონებსა და სოფლებში გაჩნდეს წვდომა ინტერნეტსა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან, რომელიც ქვეყანაში შექმნის ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოს“- განაცხადა ვივე პრემიერმა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საქართველო გლობალურად ცნობილია, როგორც ბიზნეს კლიმატის რეფორმატორი, რაც განპირობებულია კონკურენტუნარიანი ბაზრის ფორმირებისა და კერძო სექტორის მიერ სამუშაო ადგილების შექმნით. მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო ტრანსპორტსა და ენერგეტიკაში. ქვეყნის კერძო სექტორმა ინვესტირება განახორციელა სატელეკომუნიკაციო დაფარვის სექტორში, რაც აუცილებელია ხალხისა და ბიზნესების ინტერნეტთან და ყველა მის რესურსებთან დაკავშირებისთვის. საქართველოს მთავრობა ასევე აგრძელებს ინვესტირებას ახალგაზრდების უნარჩვევებისა და განათლების განვითარებაში.

დღეს უკვე არსებობს ბევრი ცალკეული წარმატებული შედეგები ტექნოლოგიების სფეროში, მიუხედავად ამისა მსოფლიო მასშტაბით ახალი ტექნოლოგიების გავლენა პროდუქტიულობაზე მოსალოდნელზე დაბალია, რადგან ღარიბი და საშალო ფენებისათვის ის შესაძლებლობების გაფართოების საშუალებას ნაკლებად იძლევა.

ციფრული ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვრცელდება, თუმცა ციფრული დივიდენდები, როგორცაა ეკონომიკური ზრდა, დასაქმება და სერვისები, ჩამორჩენილია.

ციფრული საუკუნის შესაძლებლობების სრულად რეალიზაციის მიზნით, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციაა საქართველოში შემდეგ ორ საკითხზე საქმიანობებისა და აქტივობების გაღრმავება და დაჩქარება: ციფრული ჩამორჩენის დაძლევა ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის, ღიაობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფით; და წესების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიებს შორის კონკურენციის გაძლიერებას, მშრომელთა უნარების ადაპტაციას ახალი ეკონომიკის მოთხოვნებთან და ანგარიშვალდებული ინსტიტუტების განმტკიცებას.

მსოფლიო ბანკის ანგარიშში წარმოდგენილია ციფრული განვითარების სტრატეგიები, რომელიც უნდა იყოს გაცილებით ფართო ვიდრე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სტრატეგიები. მაქსიმალური შედეგის მისაღებად ქვეყნებმა უნდა შექმნან შესაბამისი პირობები ტექნოლოგიების განვითარებისთვის, კერძოდ უნდა არსებობდეს: რეგულაციები, რომლებიც ხელს უწყობს კონკურენციას და ბაზარზე შესვლას, უნარ-ჩვევები, რომლებიც დასაქმებულებს აძლევს ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას და მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებული ინსტიტუტები.

ანგარიშის თანავტორმა განაცხადა, რომ ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია საქართველოს ეკონომიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების გარდაქმნა, მაგრამ ეს ცვლილებები გარანტირებული არ არის და არც ავტომატურად ხორციელდება. ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს როგორც ციფრულ ტექნოლოგიებში ისე მის ანალოგიურ სფეროებში, მიიღებენ არსებით უპირატესობებს მსოფლიო მასშტაბით.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ბანკის ჯგუფმა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაში 12.6 მლრდ. აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

#####

მსოფლიოს განვითარების ანგარიში - 2016: ციფრული დივიდენდები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:
<http://www.worldbank.org/wdr2016>

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ:
www.worldbank.org.ge

საკონტაქტო პირები:

მსოფლიო ბანკი: ინგა პაიჭაძე, (99532) 291 30 96, ipaichadze@worldbank.org

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო: თამთა ასლანიშვილი,
599 98 64 99, taslanishvili@gita.gov.ge

Business Georgia: ილონა პატარავა, (995 32) 255 08 40, ilona.patarava@gmail.com